

17 სექტემბერი 2018 წელი  
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ბერაია, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაცვალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ნოვე ტაბატაძე, ზვიად ტეფნაზე, აკაკი ჩიტაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიქოვანი; განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ხათუნა ელისაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით მე-20 სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 21 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

### დღის წესრიგი:

1. პრეზიდენტის არჩევნებისათვის №30, №40, №41, №42, №50 საუბნო საარჩევნო კომისიის განსათავსებლად ფართის ქირავნობის თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მომხსენებელი: მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიქოვანი)
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული/ან და გამოუყენებელი, აგრეთვე დანაკლისში არსებული ქონების ჩამოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ; მომხსენებელი: მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიქოვანი)
3. ხაშურის მუნიციპალიტეტში 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების თაობაზე; (მომხსენებელი: ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი დავით კიკნაძე)
4. "ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (მომხსენებელი: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ხათუნა ელისაშვილი)
5. "ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე" ხაშურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (მომხსენებელი: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ხათუნა ელისაშვილი).

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - არცერთი

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს:

მუნიციპალიტეტის არჩევნებისათვის №30, №40, №41, №42, №50 საუბნო საარჩევნო კომისიის განსათავსებლად ფართის ქირავნობის თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ალექსანდრე ჩიქოვანი

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის ალექსანდრე ჩიქოვანის ინფორმაციით, 2018 წლის 28 ოქტომბერს დანისნული პრეზიდენტის არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით, საჭირო გახდა N30, N40, N41, N42, N50 -ე საუბნო საარჩევნო კომისიების განსათავსებლად ფართის ქირავნობა.

*აზრი გამოთქვას: დავით გელაშვილმა, ნოვე ტაბატაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული/ან და გამოუყენებელი, აგრეთვე დანაკლისში არსებული ქონების ჩამოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ალექსანდრე ჩიქოვანი

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის ალექსანდრე ჩიქოვანის ინფორმაციით „ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებობს ამორტიზებული/ან და გამოუყენებელი მოძრავი ქონება, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზების (სიძველის, მწყობრიდან გამოსვლის, დევნილებისათვის გადაცემის და ა. შ.) გამო (თითოეულზე არსებობს შესაბამისი დაწესებულების მენეჯერის ახსნა-განმარტება) დანაკლისი ქონებაც, რომელიც საჭიროებს ჩამოწერას.

*აზრი გამოთქვას: ზვიად ტეფნაძემ, ემზარ მურჯიკნელმა, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

3. ხაშურის მუნიციპალიტეტში 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების თაობაზე; ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი დავით კიკნაძე

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - დავით კიკნაძე

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დავით კიკნაძის ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მერის 13 წარმომადგენელი გადაყვანილ იქნა საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე. საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ხაშურის მუნიციპალიტეტის საშტატო რიცხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეადგენს 8 ერთეულს, ხოლო დამხმარე ამოცანების შესასრულებლად საჭიროა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 18 ერთეული (მათ შორის 10 ერთეული მერიაში, 8 ერთეული საკრებულოში). კანონით განსაზღვრულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაიშვება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

*აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა  
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

4. „ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ხათუნა ელისაშვილი

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ხათუნა ელისაშვილის ინფორმაციით პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს სასპორტო სკოლის სრულყოფილი და შეუფერხებელი ფუნქციონირება, აგრეთვე დაბა სურამსა და ქ. ხაშურის ჭადრაკის 1 ჯგუფის გაუქმება

*აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, გიორგი ბერაიამ, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა  
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი


თანამომხსენებელი - ხათუნა ელისაშვილი

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ხათუნა ელისაშვილის ინფორმაციით პროექტის მიღების მიზნებს წარმოადგენს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პროგრამაში ცვლილების შეტანა. კერძოდ: კულტურის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას დაემატოს ერთი ახალი მუხლი: „სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისათვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯი“. ახალ მუხლში საჭირო თანხა გადანაწილდეს ამავე პროგრამის ”ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის“ და „თეატრის დღეების ორგანიზების“ მუხლიდან. აგრეთვე „თეატრის დღეების ორგანიზების“ მუხლიდან თანხა გადავიდეს „სხვადასხვა ღონის დაუფეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემის“ მუხლში.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.  
ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა  
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი